ქალაქ ქუთაისში, ბუხაიძის ქუჩა N11 საცხოვრებელი სახლის
N50 ბინაზე, მოქალაქე ირა ჩხობაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე ირა ჩხობაძის განცხადება /2011 წლის 28.09 Nჩ–7734/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ბუხაიძის ქუჩა N11 საცხოვრებელი სახლის N50 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ბუხაიძის ქუჩა N11 საცხოვრებელი სახლის N50 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ირა ჩხობაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ბუხაიძის ქუჩა N11 საცხოვრებელი სახლის N50 ბინაზე /საერთო ფართობი 70,95 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 42,96 კვ.მ, დამხმარე ფართობი 25,49 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 2,50 კვ.მ./ მოქალაქე ირა ჩხობაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი                                        გ.თევდორაძე